

THE EXPOSURE OF THE SYSTEMIC VICIES OF THE SOVIET REGIME IN NODAR
DUMBADZE'S NOVEL "TETRI BAIRAGEBI"

საბჭოთა რეჟიმის სისტემურ მანკიერებათა მხილებანი ნოდარ დუმბაძის რომანში
„თეთრი ბაირაგები“

Giorgi Khorbaladze

PhD in Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

Abstract. First and foremost, we would like to note that Nodar Dumbadze's work is inadequately and poorly studied in Georgian literary criticism, therefore, we set out to research a number of aspects of Nodar Dumbadze's work and some noteworthy trends, taking into account the appropriate contexts. At the initial stage, we selected the novel "Tetri Bairagebi (The White Banners)" because, if not in the entire work of the writer, even in this novel alone, several very important problems can be freely identified, which are interesting from the point of view of research. Thus, in our previous studies, we have already studied some important directions, which, in fact, were left unnoticed, for example, we analyzed the biblical-Christian paradigms in the novel; We reviewed the problem of the false (completely opposite) interpretation of a specific issue from the same novel, and the present work is a continuation of the cycle of research that we are carrying out around the novel, and at the same time, the work is absolutely individual in relation to previous studies, as in this case we will completely address the problem. In particular, the set of passages in the novel "Tetri Bairagebi (The White Banners)" uniquely and completely clearly exposes the vicious features of the Soviet system, which are voiced in a quite disguised and undeclared manner and are the subject of further research and identification. The context of the era should also be taken into account, whereas all of this is written during the existence of the regime, and most importantly, with such high skill that the writer manages to survive creatively and to avoid censorship.

Keywords: Soviet Regime, Novel, Nodar Dumbadze, Exposure.

გიორგი ხორბალაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

აბსტრაქტი. უპირველესად აღვნიშნავთ, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედება არასათანადოდ და არასრულფასოვნად არის შესწავლილი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ამდენად, ჩვენ, მიზნად დავისახეთ შევისწავლოთ ნოდარ დუმბაძის შემოქმედების რიგი ასპექტები და ზოგიერთი ყურადსაღები ტენდენცია სათანადო კონტექსტების გათვალისწინებით. პირველ ეტაპზე შევარჩიეთ რომანი „თეთრი

ბაირალები“ ვინაიდან, არა თუ მწერლის მთელს შემოქმედებაში, მარტოდენ ამ რომანშიც კი, თავისუფლად შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა რომელიც საინტერესოა კვლევის თვალსაზრისით. ამდენად, ჩვენს წინა კვლევებში უკვე შევისწავლეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც, ფაქტიურად, შეუმჩნევლად იყო დატოვებული, მაგალითისათვის, გავანალიზეთ ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები რომანში; მიმოვიხილეთ კონკრეტული საკითხის მცდარი (სრულიად საპირისპირო) ინტერპრეტაციის პრობლემა ამავე რომანიდან და წინამდებარე ნაშრომი წარმოგვიდგენია გაგრძელებადაც იმ კვლევის ციკლისა რომელსაც რომანის ირგვლივ ვახორციელებთ და ამასთანავე, ნაშრომი აბსოლუტურად ინდივიდუალურია წინა კვლევებთან მიმართებით, რამდენადაც ამ შემთხვევაში სრულიად პრობლემას პრობლემას შევხებით. კერძოდ, რომანში „თეთრი ბაირალები“ არსებული პასაჟთა ერთობლიობა, ცალსახად და სრულიად გარკვევით ამხელს საბჭოთა სისტემის მანკიერ თავისებურებებს, რაც საკმაოდ შენიღბულად და არადეკლარირებულად არის გაჟღერებული და კვლევისა და ამოცნობის საგანს წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ეპოქის კონტექსტიც, ეს ყოველივე იწერება უშუალოდ რეჟიმის პირობებში და რაც მთავარია, იმდაგვარი მაღალი ოსტატობით, რომ მწერალი ახერხებს შემოქმედებით გადარჩენასაც და ცენზურის მარწუხების ჩამოცილებასაც.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა რეჟიმი, რომანი, ნოდარ დუმბაძე, მხილება.

შესავალი. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს, ნოდარ დუმბაძის რომანის „თეთრი ბაირალები“ ირგვლივ წამოჭრილი საინტერესო პრობლემების განხილვის ციკლის დასკვნით ნამუშევარს. ვფიქრობთ, ერთის მხრივ, ჩვენ შევძელით, ერთი რომანის მაგალითზე, წარმოგვეჩინა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი და (ზემოთ დასახელებული კვლევების გათვალისწინებით) შევქმენით მონოგრაფიული ტიპის კომპლექსური ნარკვევი კონკრეტული რომანის ფარგლებში, რაც ამ ნაშრომის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნებოდა. ამ კვლევათა ციკლის დასრულება კი შემდგომში მოგვცემს შესაძლებლობას, განვაგრძოთ კვლევა მწერლის სხვა ნაწარმოებების ირგვლივაც; ხოლო, მეორეს მხრივ, ეს კონკრეტული სტატია წარმოგვიდგენია ასევე, როგორც თვითმყოფადი ნაშრომი, პრობლემის ირგვლივ მწერლის მიერ მინიშნებული კონტექსტების ამოსაკითხად და საფუძვლიანი გააზრებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ის, რაზეც ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას, არ არის განსაკუთრებულად შენიღბული რომანის წიაღში, უბრალოდ, საკვლევი საკითხისათვის საინტერესო განწყობანი იმდენად ოსტატურად არის განაწილებული აბსოლუტურად განსხვავებული კონტექსტისა და ემოციური დანიშნულების წინადადებებს შორის, რომ მწერალი ერთდროულად აღერხებს მკვეთრად თქვას სათქმელი, ამხილოს სისტემა და, ამავედროულად, შესაბამისი აქცენტი გადფაროს ისე, რომ ცენზურა, პრაქტიკულად, პირში ჩალაგამოვლებული დატოვოს.

მეთოდები. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ინტერპრეტაციის, ტექსტის ანალიზის, კომპარატივისტული და შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდები

შედეგები და მსჯელობა. რომანი ორი მეგობრის მოულოდნელი შეხვედრის სცენის ასახვით იწყება და მალევე მათ დიალოგში, ერთი, კონკრეტული ფილმის სათაურია მოხსენიებული: „როგორ ხარ?

- ისე რა. შენ როგორ ხარ? – ვკითხე მე და საათზე დავიხედე.
- გეჩქარება?

– კიროვის ბაღში „სიცილიის ცის ქვეშ“ გადის, ხომ არ წამოხვალ, კარგი ფილმია. – ვუთხარი მე და ისევ საათზე დავიხედე.” – ფილმის სათაურის დასახელებას ავტორი, ბუნებრივია, გარკვეული მოსაზრებით აკეთებს, რადგან მას შეუძლია პერსონაჟს კონკრეტულის გარეშე ათქმევინოს „-, კარგი“, „ახალი“, „მუზიკლი“ ან ა.შ. გადის, მაგრამ იგი სრულად ასახელებს კონკრეტული ფილმის სათაურს. საინტერესოა რის შესახებაა ფილმი. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფილმის ავტორია პიეტრო ჯერმი (ნეორეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი კინომატოგრაფიაში). მისი ფილმებისთვის, ზოგადად, „**დამახასიათებელია სოციალური თემატიკა და დოკუმენტური უტყუარობა.**“ ფილმი „სიცილიის ცის ქვეშ“ 1949 წელს გამოვიდა ეკრანებზე და მასში **თამამად არის ნაჩვენები სიცილიის ჩამორჩენილობა და სილატაკე.**¹ (ინტერნეტ რესურსი) შესაბამისად, როდესაც რომანის საწყის სიუჟეტს ვკითხულობთ, ჩნდება განცდა, რომ ფილმი, სადაც (მართალია სხვა ქვეყნის, მაგრამ მაინც) ჩამორჩენილობა და სილატაკეა ნაჩვენები, პირდაპირი პარალელის გავლების საშუალებას გვაძლევს იმ ქვეყნის რეალობასთან, რომელსაც მწერალი გვიხატავს; ამდენად ფილმის დაკონკრეტება სულაც არ არის შემთხვევითი. შესაძლოა დაშვებაც, რომ ეს პირდაპირი პარალელისთვის კი არა, კონტრასტის დემონსტრირებისთვის იყოს გაკეთებული, თუმცა რომანზე დაკვირვება ამ ალტერნატივას სრულიად გამორიცხავს. გავყვეთ რომანის სიუჟეტის მდინარებას. „მადას“ ოფიციალტები ისეთი ჭუჭყიანი ხალათებით დადიან, რომ უბნის სანინსპექციის ექიმს შიგ შესვლა არ ჭირდება, დახლიდარი პირდაპირ კიბეზე ამღევს ანტისანიტარიისათვის გადადებულ ქრთამს.“ ჭუჭყიანი რესტორანი და კიბეზე გაცემულ-მიღებული ქრთამი, ვფიქრობთ, სწორედ ჩამორჩენილობისა და სილატაკის დემონსტრირებაა, მაგრამ თუ ამ შემთხვევაში ჩამორჩენილობა უფრო იკვეთება, ციტატის გაგრძელება სილატაკეს ამოატივტივებს ზედაპირზე: „რაა, არქიფო, ასე ბინძური რესტორანი, არ გრცხვენიათ? – ვკითხე ერთხელ.

– რესტორანი არ გახლავთ, ეს, ჩემო ბატონო, მუშათა სასადილოა! – მომიჭრა სიტყვა არქიფომ. იმ დღიდან, მე, როგორც მომხმარებელი, „მადას“ ისეთ მაღალ მოთხოვნილებებს აღარ ვუყენებდი, როგორც წინათ, როდესაც იგი რესტორანი მეგონა.” ანუ, მუშა, როგორც დაბალი კლასი, არ იმსახურებს ნორმალურ მოპყრობას, ე.წ. „მუშათა კლასი“ ნორმალურ მომსახურებას ვერ მიიღებს, რამდენადაც მისი ფინანსური შესაძლებლობები ღირსეულ მოპყრობას ვერ გასწვდება; აქვე, სახეზეა კლასობრივი დაყოფა, როგორც მოცემულობა და ერთგვარი „კანონზომიერება“, რაც კვლავ სხვა არაფერია, თუ არა ჩამორჩენილობა. სიდუხჭირის ჩვენება მალევე გრძელდება და ეს ორი პოსტულატი – ჩამორჩენილობა და სიდუხჭირე, თითქოს ერთმანეთის შევსება-გადაფარვაშია არსებული რეალობის სრულყოფილი ასახვისათვის: „– სად დაიკარგე? – მაინც ვკითხე ზრდილობისათვის.

– ეკონომიურად მიჭირს, მუშაობა დავიწყე და დაუსწრებელზე გადავედი. – მიპასუხა მაშინ. აი, ახლაც არ ვიცი, რა ვკითხო, და ისევ იმას ვეკითხები, რაც შარშან ვკითხე.

– სად დამეკარგე, ბიჭო?

– ვმუშაობ, ზაზა, აკი გითხარი?

– სად მუშაობ?

– რა მნიშვნელობა აქვს, პურის ფულს ვაკეთებ.

– რაღაც არ გეტყობა! – გაუღიძვე მე და სასოებით გავხედე თეფშის ქვეშ ამოდებულ ჩემ სამიანეთიანს“; არახალია, რომ საბჭოთა პერიოდის რომანს, მხოლოდ უზრუნველყოფილი ადამიანის სახე უნდა დაეხატა და არა გაჭირვებული ადამიანების, რომლებიც, „პურის ფულს“ რომ შოულობენ, ისიც კი არადამაჯერებელია. ის, რომ სიდუხჭირე შეგნებულად არის ფოკუსირებული, შემდგომშიც არაერთხელ გამოიკვეთება

¹ www.wikiwand.com/ka/

რომანში; ციხეში გაგზავნილ ნობათს მწერალი ნუსხის სახით შეიტანს ნაწარმოებში, რასაც ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულის გარდა სხვა ვერანაირი დატვირთვა ვერ ექნება: „შვილო ზაზა! – მწერდა დედა – გიგზავნი შემდეგ პროდუქტებს:

- 1) პური – 1 ცალი.
- 2) კატლეტი – 8 ცალი.
- 3) მწვანილი – (ხახვი, ნიორი, ტარხუნა, წიწმატი, ბოლოკი – თითო კონა).
- 4) ვაშლი – 4 ცალი.
- 5) ძეხვი – 1 ცალი.
- 6) შაქარი – 1 კოლოფი.
- 7) თამბაქო – 2 კოლოფი. მაპატიე, დედიკო, გოცნი

წერილი ბავშვური ხელით, მრგვალი ლამაზი ასოებით იყო დაწერილი რვეულის გაქონილ ფურცელზე და მე ახლა ჭამა კი არა, სულ მარტო ყოფნა და გულამომჯდარი ტირილი მინდოდა“ - ეს ის ამანათია, რომლის მიწოდებაც ექვს თვეში ერთხელ არის ნებადართული, ამდენად, ამ ნუსხიდან გამომდინარე, მკითხველს ვერანაირად ვერ დარჩება შთაბეჭდილება, რომ ბედნიერი ცხოვრებაა ციხის ფარგლებს გარეთ, რის ჩვენებასაც მწერლისგან ითხოვს რეჟიმი. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ნუსხის წარმოდგენას რომანში კონკრეტული დანიშნულება აქვს, ამიტომ თემას კიდევ უფრო განავრცობს თავად პერსონაჟთა მსჯელობა ზემოთ აღწერილი ამანათის შესახებ: „ალბათ, დედაშენს გონია, აქ მარტო ჭამას გაცლიან, არა? – სიცილით მკითხა ტიგრანამ.

– ალბათ! – ვუთხარი მე.

– თუნდაც ეგრე იყოს, რვა კატლეტი ერთ კაცსაც არ ეყოფა. – თქვა შოშიამ. გული ჩამწყდა. უცებ დედაჩემი წარმოვიდგინე, სალამოს, ბაზარში, მეხორცის დახლთან მდგარი, როგორ ეხვეწებოდა ფაშვადმოგდებულ და ქამარში უზარმაზარ დანაგაყრილ, ბრიყვთვალეზიან ყასაბს, სამ მანეთად მიეცა დახლზე დაყრილი, დარჩენილი ხორცგაცლილი ძვლები“

ზოგადად, სოციალური სიდუხჭირე ჩანს ყველა მიმართულებით, ამ რომანში დალხენილი და ბედნიერი პერსონაჟები, უბრალოდ, არ იძებნებიან, რაც სრულიად საწინააღმდეგოა კომუნისტური იდეოლოგიისათვის. რომანის არაერთი პასაჟი გვამცნობს, რომ საბჭოთა სისტემა არ იძლევა საშუალებას პატიოსანი შრომით თავი გაართვა ელემენტარულ ადამიანურ საჭიროებებს. შოშია ამბობს: „ორმოცი წელიწადიდან, რომელიც ჩემშია, ოცდაათი წელიწადი ხახვით, ბოლოკით, მდოგვითა და შავი პურით მქონდა ამომწვარი თავ-ღრანჭი და ცხვირ-პირი. ხალხო, ორმოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა თეთრი პური, კარაქი“. იგივე მინიშნებაა ისიდორეს სიძის მონოლოგში, რომელიც „ცხოვრების ცოდნას“ უკანონო გზით მომხვეჭელობას ეძახის, ხოლო ვიდრე ასეთ გზას დაადგებოდა, მისი ყველაზე ფასეული ქონება ერთი გამოკერილი შარვლით შემოიფარგლებოდა.

მკაცრად არის გაკრიტიკებული საინფორმაციო პოლიტიკა. აშკარა მაგალითით მხილებულია ინფორმაციის რა დოზით ინტერპრეტირებული ვერსია მიდის მოსახლეობასთან და რა რჩება რეალური ამბიდან მასობრივ საინფორმაციო საშუალებაში: „რუბრიკის ქვეშ „კანონიერების სადარაჯოზე“ შემდეგი შინაარსის სტატია გამოქვეყნდა - „აბა, რა ეგონათ?“

„... გადაეხვივნენ ერთმანეთს პროფესიონალი ცულლუტები (გვარებიც ხელს უწყობდათ) და ვინ იცის, საიდან და რა გზით ნაშოვნი ფულით რესტორან „მდაში“ არაყით პირის ჩატკბარუნება განიზრახეს. ამ დროს იქვე, მათ გვერდით, დარბაისლურად ქეიფობდნენ პატიოსანი მოქალაქენი.

... ის-ის იყო აპირებდნენ გაპარვას და სასჯელის თავის არიდებას ადამიანის სახედაკარგული ამილახვარი და ნაკაშიძე, რომ დროზე მიუსწრეს...

...შეიპყრეს დღემდე გაურკვეველი მიზეზის გამო სამართალში არასდროს ყოფილი არამზადები და სადაც ჯერ არს, იქ მიაბრძანეს. - აშკარაა, რომ კონტექსტი მიზანმიმართულია, რათა განსაზღვროს მკითხველის განწყობა, მწერალი კი საგაზეთო სიუჟეტის ტექსტს, მხოლოდ ერთი მიზნით ჰქმნის რომანში - ამხილოს სიცრუის პროპაგანდა, ალტერნატიული რეალობა; როდესაც ერთ კონკრეტულ ინციდენტს ამდენად ცვლიან, რა ხდება იქ, სადაც ეს სჭირდებათ კიდევ? ალტერნატიული რეალობაა საბჭოთა ტექსტებშიც, ეს სტატია მინიშნებაა სოციალისტური რეალიზმის პათოსზეც, სადაც ბედნიერი და უზრუნველი ადამიანი უნდათ ყოველ პერსონაჟში და არა ნამდვილი ლიტერატურული ტექსტები, რომელთა წიაღშიც სამყაროს სურათიც რეალისტურია, თავისი ადამიანური და ცხოვრებისეული სირთულეებით, ამიტომ, მაღევე, სიუჟეტის ასახვაში მოაყოლებს ნოდარ დუმბაძე კიდევ ერთ მინიშნებას - არანაირი აბსოლუტურად უმანკო და უზრუნველი საბჭოთა სამყარო არ არსებობს, ასეთი მხოლოდ მითია: „სწორედ იქ, საიდანაც სიცოცხლეზე ხელჩაქნეული თბილისელები ერთმანეთის წამხედურობით კისერზე ქვაგამობმულნი ეშვებოდნენ ხოლმე ახლა აუტანლად ბინძურ და აშმორებულ მტკვარში, იდგა მრავალტანჯული მეტეხის ციხე“ გარდა იმისა, რომ სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ადამიანის არსებობაზე ხმამაღალი საუბარი ვერ თავსდება კომუნისტური რეჟიმის ეპოქის ნაწარმოების ჩარჩოებში და ამ თემის შემოტანა, სწორედ ჩარჩოების რღვევაა, აუტანლად ბინძური და აშმორებული მტკვარი, სიმბოლურად განასახიერებს არსებულ ყოფიერებას, რომელში განთავსებისთვისაც წირავენ ადამიანებს, იქვე კი, მეტეხის ციხის მოხსენიებას ეპითეტით „მრავალტანჯული“, გამოფხიზლებისაკენ და ეროვნული ცნობიერების შენახვისაკენ მოწოდების დანიშნულება აქვს, რამდენადაც მეტეხის ციხე ძლიერი საქართველოს, ვახტან გორგასლის და სხვა მეფეთა თუ დიდმოწამეთა სახელებთან არის გადაჯაჭვული.

ამ აღწერილობის თანმიმდევრობაში მწერალი ასევე დაწერს: „რევოლუციური მოძრაობის აღორძინებისა და შემდეგ რეაქციის მძვინვარების წლებში, უცებ იმდენმა ხალხმა მოინდომა თავისუფლება, რომ პატარა მეტეხის ციხემ ვერ დაიტია ისინი“, თითქოს უწყინარ მოცემულობაზე საუბრობდეს მწერალი, მაგრამ ბოლო პარადოქსული შინაარსის სიტყვები ცალსახად ასე პერიფრაზირდება: „ამჟამად, თავისუფლება, რომელიც უკვე უმრავლესობის ნებაა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით“, რაც სხვა არაფერია თუ არა პირდაპირი მხილება.

მექრთამეობა რომ ეპიდემიურად ყველა სისტემას მოსდებია, ეს ყველგან აქვს ნაჩვენები მწერალს, სადაც კი ნაწარმოებთა კონტექსტი აძლევს გასაქანს: „იდიოტი მამა მოგიკვდეთ, შვილებო, რა ჩემი საქმე იყო ასკილისა და მაყვლის წვენი, ვგდებულისყავი ტექნიკუმში სამეურნეო ნაწილის გამგედ, მაყუთს ვერ ვაკეთებდი თუ რა?“ - საკონსერვო მეურნეობაში (ანუ წველების ქარხანაში - იმ დროს ყველა უწყება სახელმწიფო უწყებაა) მეტი ფულის „საშოვნელად“ (მოსაპარად) გადადის შოშია, რადგან იქ „უკეთესი არენა“ ეგულება, თუმცა ტექნიკუმშიც „აკეთებდა მაყუთს“, ანუ მხოლოდ სოფლის მეურნეობა თუ მისი ქვე დარგები კი არა, საგანმანათლებლო სისტემაც მხილებულია, ერთ წინადადებაში ორი დიდი სისტემის მხილებაა და ეს ისე ლაზათიანად არის ხუმრობა-ხუმრობით შემოპარებული, რომ, სავარაუდოდ, ცენზურამაც ღიმილით გაატარა, რაც მწერლის დიდ ხელოვნებას მოწმობს. განათლების სისტემის პრობლემები კიდევ რამდენჯერმეა აქცენრიტებული შემდგომაც: „უმაღლეს განათლებას არავინ ითხოვდა, რაც მთავარია, შოშიამ თვლა ისწავლა ჯერ ათამდე, მერე ასამდე, მერე ათასამდე, მერე კი მილიონამდე და უფრო ზევით.

შოშია ულამაზოა იმიტომ, რომ კაცია და ჩიტსა ჰგავს. აი, შოშია რომ ჩიტი ყოფილიყო, მაშინ ლამაზიც იქნებოდა, რადგან შოშიასა ჰგავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც შოშიამ მილიონამდე და უფრო ზევით თვლა ისწავლა, შოშია უცებ ლამაზი გახდა, ჰკვიანი გახდა, შოშიამ ორი უმაღლესი დაამთავრა“, ცხადია, რომ ციტატის სრული

კონტექსტი მის უკანასკნელი წინადადებათა ერთად ამხელს საბჭოთა კავშირის კიდევ ერთ უდიდეს ჩავარდნას „განათლების ყიდვის“ პრაქტიკას.

აქვე, გავიხსენებთ, რომ განათლების სისტემის კვალდაკვალ, კიდევ ერთი საინტერესო ამბავია მხილებული - მოზარდებში ქუჩის განუკითხაობა, რომელიც, მოგვიანებით, პირდაპირ უწყებებში გადანაცვლდება და მკვიდრდება: „იმ უბნელ ბიჭებს „Кирпичная шайка“-ს ეძახდნენ.

– დილით გვხვდებოდნენ და ფულს გვართმევდნენ, გახსოვს?

– როგორ არ მახსოვს, არადა, მაშინ თხუთმეტ კაპიკად ერთი ფრანგული ფუნთუშა და ორი სოსისკი იყო თავის მდოგვიანად. ...მაშინ არც მე მიფიქრია, ახლა მივხვდი, მუშაობა რომ დავიწყე, ჩვენი პროფკავშირის თავმჯდომარე ეგრე გვართმევს საწევროს, ჯამაგირის დროს სალაროსთან გვხვდება“.

სისტემისა და საჯარო უწყებათა ადამიანური რესურსის ერთადერთი წყარო კომუნისტური პარტიაა, ესაა ერთადერთი გზა, რომლის გავლაც უალტერნატივოა მოხელეთათვის, მაგრამ ტალახით სავსე აუზს სუფთად ვერ გადაცურავ, თავად პარტიული საქმიანობაა ტალახით სავსე აუზი და, შესაბამისად, მისი ადამიანური რესურსით მომარაგებული უწყებანიც სწორედ ისეთებად რჩებიან, როგორც არიან: „უმწიკვლო იყავი, ხომ? – დიახ, უმწიკვლო! – ვიცი, ვიცი, ისეთი უმწიკვლო და ერთგული იყავი, რომ ქრთამიდანაც იხდიდი თურმე პარტიის საწევროს.

– ისევე, როგორც შენ! – უთხრა მეზურიშვილმა.“ - ეს კი, პრაქტიკულად, დადებითი პასუხია, ანუ, დიახ, მეზურიშვილი პარტიასაც წილს უხდიდა ქრთამიდან. მეზურიშვილისთანა სინდისზე ხელაღებულნი ყველგან რომ მოეძებნება სისტემას ისიც იქვე ჩანს. გოგოლი ამბობს: „ ასეთ დამპალ ხალხს ბავშვობიდან ვერ ვიტან. ასეთი იყო ჩემი მეურნეობის დირექტორი, რომ გავლახე და ამ ხნის კაცი ხულიგნობაზე რომ ჩავჯექი, მეტი კი არაფერი“. გოგოლი სოფლელი კაცია: „ნახარებაოდან ვარ, დაიწვა იქაურობა“ - ამბობს ის, მხოლოდ ამ ერთ პატარა სოფელში ვრცელდება მისი პირდაპირი შემხებლობა პარტიულ ჩინოვნიკებთან და იქაც კი, მეურნეობის დირექტორი „ასეთი (მეზურიშვილისთანა მექრთამე და მლიქვნელი) დამპალია“ რაც იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ ქვეყნის მასშტაბით არის მოდებული ეს პარტიული ღპობის პროცესი.

რომანის მიხედვითაც და ზოგადადაც, ისიც აქსიომატურია, რომ ოდესმე, თავად პარტია თითქმის ყველას წირავს, მიუხედავად პარტიული რანგისა, ისევე როგორც მეზურიშვილი და მისი დიდი სეხნია გაიწირა, ან ისე, როგორც ანონიმური წერილის ავტორი წერს მინისტრის ამპლუაში წარმოდგენილ ნაკაშიძეს: „ეს ქვეყანა ჩალით დახურული ნუ გგონიათ, თქვენი დროც მოვა და ვნახავ თქვენს ცოლ-შვილს აყუდებულს „გუბერსკის“ კარზე „პერედაჩით“, ამ მუქართ, გახსენებულია მოცემულობა, რომელსაც ბევრი ისტორიულ-დოკუმენტალური საფუძველი აქვს - კომუნისტურ პარტიაში ყველა პარტიულის „დრო“ ადრე თუ გვიან თავად პარტიას „მოჰყავს“ და ამის შესენება მკითხველისთვის (რომელთა შორის, ბუნებრივია, მიზნობრივი ადრესატებიც მოიაზრებიან), მნიშვნელოვნად მიუჩნევია მწერალს.

გიგლა მოშიაშვილის საქმე, ფაქტიურად, დიდი კორუფციული ჯაჭვის ერთი რგოლის ჩვენებას წარმოადგენს, რომლის მიღმაც სხვა რგოლები თავისთავად მოიაზრებიან; იგი: „გაგრის ფეხსაცმელების მაღაზიის გამყიდველი ყოფილა დაჭერამდე. უფაქტუროდ ლაქის ფეხსაცმელების გაყიდვას აბრალებენ, ისიც ზედმეტ ფასებში“, გიგლას სიტყვები კი ცხადყოფს რომ ის სისტემური დანაშაულის ქანჭიკია და არა ღერძი:

„კიდევ ერთი-ორი დაკითხვა და შეიძლება ძალიან ბევრი ხალხი დავლუპო, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სეკრეტები ვიცი...“

...ვინც გარეთ დარჩა, შოშია, ის ხალხი ჩემს წონა ოქროს დადებს და ციხეში დღეიდან დიდი-დიდი ერთი კვირა, მეტს არ გამაჩერებს.“ - ამ ფრაზებში კიდევ მეტი ჩანს, ვიდრე წერია - მხოლოდ ფეხსაცმელების მწარმოებლები თუ მაღაზიათა

მმართველები არ არიან კორუფციასში, ისინი თავისუფლებას ყიდულობენ მოშიაშვილისთვის, ანუ სასამართლო სისტემაც მხილების ობიექტია. გავიხსენოთ შოშიას რეპლიკაც: „როგორ თუ რა უნდა გაგეკეთებინა, ნახევარ საათში ობეხეესმა ოცდახუთი კაცი დაგვიჭირა, შენ ნახევარ საათში ცხრა კაცი ვერ გაუშვი?“ ანუ ისიც ერთი ოცდამეხუთეთაგანია, რაც სხვა არაფერია, თუ არა კვლავ დანაშაულებრივი სისტემაზე მინიშნება და არა მხოლოდ პიროვნების გადაცდომა.

ამ კონკრეტული თემატურობის მხილება, განსაკუთრებით უხვად გვხვდება რომანში, რაც პრობლემის საყოველთაობას უსვამს ხაზს; გავიხსენოთ ისიდორეს დიალოგიც სიძესთან, რომლის აზრითაც, ის რა ოჯახია, სადაც სარდაფში: „ერთი ტონა ღვინო, ათი ყუთი ბორჯომი და ოცი ყუთი პილზენის ლუდი, ათი აცმა ვობლა და ტარანი არ აგდიაო. შემდეგ ფულის მოტანაზე, როდესაც ვკითხე საიდან-მეთქი, მან კვლავ ვეფხვის უკანალში მიმასწავლა, თან დაუმატა, რომ მე სამსახურში ადგილს ვაცდენ“. ამავე დიალოგის გაგრძელებას კი ერთი საინტერესო ნიუანსი ახლავს, სისტემის მხილების კვალდაკვალ, მწერალი პერსონაჟს ათქმევინებს, რომ: „ყველანი უკვე დიდი ხანია დაჭერილები ვართ და სასჯელს ვიხდით, ოღონდ, ვერ ვგრძნობთო“, რაც, ჩვენი აზრით, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მწერლის შეფასებით, რეალობა, რომელშიც საზოგადოება საქართველოში ცხოვრობს, თავისუფლებააღკვეთილი რეალობაა სინამდვილეში.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, რომანში სისტემატურად მახვილდება ყურადღება მექრთამეობის მასშტაბებზე, დასკვნით ნაწილში, თითქოს შემაჯამებელი სიტყვით შემოუტრიალდება ამ პრობლემას ავტორი, ამჯერად ტყავის ქარხნის თანამშრომლის, ზამბახიძის, ამბის მაგალითზე, რომელიც მთელს რგოლში ერთადერთი პატიოსანი თანამშრომელია და სწორედ ამ პატიოსნების გამო იგი „თეთრი ყვავივით“ გამოიყურება კოლეგებს შორის: „მანდ ხომ იცი როგორ არის, ყველა ცეხის გამგეს ტყავი გააქვს, ყიდიან და წილს დირექტორსა და ახო-ს უფროსს აძლევენ“ ამბობს ზამბახიძე, ხოლო ნაკაშიძე აბსოლუტურად ცნობილი სცენრივით უყვება მისთვის სრულიად უცხო ადამიანს, რეალურად უცნობ, მაგრამ თავისი სქემატურობით ცნობილ ამბავს: „მერე, დირექტორი და ახო-ს უფროსი გადაგეკიდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ჩაგისაფრდნენ და შენს სიცოცხლეში რომ არავის გაუჩხრეკიხარ, უცებ გასასვლელში გაგაჩერეს, ახოს უფროსის ოთახში შეგიყვანეს და ორი მუშის თანდასწრებით გაგჩხრიკეს. გაგჩხრიკეს და წელზე შემორტყმული ლანჩები და საპირე ტყავი გიპოვნეს.

...ორი მუშა ცრუ მოწმედ დაიყენეს, სურათებიც გადაგიღეს და დირექტორთან მიგიყვანეს. მართალი ვარ? - ვკითხე ზამბახიძეს.

- მართალი ხარ. - მითხრა ზამბახიძემ.

... რომ შეგიყვანეს, დირექტორი ისე იჯდა, ვითომ გაზეთს კითხულობდა. რომ დაგინახა, ფეხზე წამოდგა. - რაშია საქმეო იკითხა!

...ახოს უფროსმა მოახსენა, ასე და ასეო, არ მჯერაო, შეიცხადა დირექტორმა. თუ არ გჯერათ, აბა, ეს რა არისო და წინ ტყავი დაუყარეს. დირექტორმა ვითომ ეწყინაო, ოხო! თქვა და დაჯდა. დიდხანს იჯდა შეწუხებული, მერე ადგა და ასეთი სიტყვა გითხრა: „ამხანაგო ზამბახიძე ასე უნდა ქარხნის, კოლექტივის, პარტიისა და ხელისუფლების ნდობის გამართლება? შვილივით მიგიღეთ, გაგზარდეთ, ცეხი ჩაგაბარეთ და შენ იმის ნაცვლად, კაპიკს კაპიკი მიუმატო და ეკონომია მისცე ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ამ დარგს, რას შვები იპარავ? მერე და ვის პარავ? სახელმწიფოს? არა ზამბახიძე მაგის უფლებას ვერ მოგცემთ!“ შენ რაღაც გინდოდა გეთქვა, მაგრამ აღელვებულმა დირექტორმა ლაპარაკი არ გაცალადა, ხელით ანიშნა ახოს უფროსს, გაიყვანეთო, მართალია? - მართალია! მართალი!

- მერე გამოძიება რას იზამდა? ორი კაცი პირზე გადგებოდა, აიღეს და დაგაპატიმრეს, მათ ადგილზე შენც ასე მოიქცეოდი...“ ამ ცინიკურ მონოლოგში, სადაც

თითქოს და ნაკაშიძის ცინიზმი ზამბახიძისკენ არის მიმართული, თუმცა, რეალურად ეს ცინიზმი სწორედ იმ სისტემაც ეკუთვნის, რომელსაც შეუძლია გაწიროს ზამბახიძე და ის იმ ხალხმა დაამუნათოს, რომელთა მექრთამეობასაც სწორედ ზამბახიძე ელობებოდა წინ. გულუბრყვილო ზამბახიძე გაოგნებული ეკითხება ნაკაშიძეს: „თუ ძმა ხარ საიდან იცი ყველაფერი ეს?“ და აქ ნაკაშიძის თითქოს უბრალო პასუხია სწორედ განსაკუთრებით მეტყველი: „**მაგას რა ცოდნა უნდა**, სამართალში მიცემულო ზამბახიძე“, რადგან ეს პასუხი უაღრესად მწვავედ და დაბეჯითებით მიანიშნებს, რომ ზამბახიძის შემთხვევაც ტიპური და სისტემურია და არა ერთეული ფაქტი. აქვე, კიდევ ერთხელ, გადავხედოთ ზაზა ნაკაშიძისა და ციხის ექთნის დიალოგსაც: „ისე, ბინა მაქვსო შენ უნდა თქვა! - შემიქო ბინა ნუნუ ექიმმა, ცარიელ საკანს თვალი მოავლო, ჭრილობაზე იოდი დამასხა, ისე ამეწვა, ტკივილისგან თავი ძლივს შევიკავე.“

- ერთი სულის პირობაზე არა უშავს, მე შენ გეტყვი ავეჯი შემაწუხებს, ან ჩაწერაზე მომიწევს სახლმმართველთან ქრთამით სირბილი. - დავუდასტურე“ - კვლავ მექრთამეობაზე აპელირებს ნოდარ დუმბაძე და, პრაქტიკულად, აღარ დარჩა სისტემა, რომელში მექრთამეობაც მხილების საგანი არ გახდა მწერლისთვის.

რადგან ციხის ექთანი ვახსენეთ, აქვე გადავინაცვლოთ სამედიცინო სექტორის მდგომარეობაზე, რომანში ესეც ნათლად იკვეთება, ჩანს რომ, არც სამედიცინო დარგებია სახარბიელო ვითარებაში, სრული გაუაზრებლობა და კოორდინაციის მოშლაა ნაჩვენები ამ მხრივაც: „ ბავშვი მყავს მძიმედ ეს ერთი კვირაა, ექიმმა ისეთი წამალი გამომიწერა, ვერსად ვერ ვიშოვე.“

- ვერც ებრაელებში?

- სადღაა ებრაელები?! - ამოიოხრა მან.

- რა წამალია? - ჰკითხა ჩემმა. იმან ხაკისხალათის გულის ჯიბე გაიხსნა. ქალაღდის პატარა ნაგლეჯი ამოიღო და მარცვალ-მარცვალ წაიკითხა: - კორ-და-რო-ნი. გაგიგია? - არ გამიგია! - უპასუხა ჩემმა, წამლის სახელიც კი დასახელებულია, იმისთვის, რომ გამოაჩინოს, არავითარი განსაკუთრებული ან აკრძალული მედიკამენტი არ არის ასეთი ხელმიუწვდომელი, სინამდვილეში ეს ძალიან უბრალო წამალია, თუმცა, საბჭოთა სისტემა სამყაროსგან იზოლირებულად არსებობს და შედეგებსაც სესაბამისს იძვის, რაზეც მწერლის პოზიცია ნათელია, და ამავე ვითარების მეორე პრობლემა - „ცისფერი მთების“ პერსონაჟის არ იყოს, აქაც ასეთ აბსურდულობას აქვს ადგილი: - „არა, მაგრამ უარს არ გეტყვით“, ექიმი ავადმყოფს იმ წამალს უწერს, რომელიც იმდენად მიუწვდომელია, რომ ფაქტობრივად არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში იმ ჩაკეტილ სამყაროში რომელშიც ეს ადამიანები ცხოვრობენ. ეს კი, სრული დისკორდინაციაა, როგორც სამყაროსა და საბჭოთა რეჟიმს შორის, ისე სამედიცინო და ფარმაცევტულ მიმართულებებში, რაც ხელმოცარულობის განცდას უტრირებს, რომანის მიხედვით. ამ თემატიკას შეეხება კიდევ ერთი პასაჟი, გავიხსენოთ ნაკაშიძის შეხვედრა დედასთან, სადაც ხარაბადისთვის აუცილებელ წამალზე მსჯელობს დედა-შვილი: „მერე რა, შვილო, სულ ორი ფლაკონი ყოფილა საქართველოში - ერთს უკვე ასმევენ ვიღაცას და ერთს ვიღაცისათვის ინახავენ, ვაითუ დასჭირდესო.“

- სპეკულანტებში არ არის?

- არ ვიცი... რომც იყოს, ისე ძვირი ღირს თურმე.

... როგორ ფიქრობ, შვილო, ხარაბადის ჭირისუფალი არ ეძებს ამ წამალს? მაგრამ არ არის!“ აქაც ნათელია, მწერლის იგივე განწყობა - ელემენტარული საჭიროების მოგვარება ჭირს ქვეყანაში, უკვე მეორე, სრულიად განსხვავებული შემთხვევისთვის არ იშოვება წამალი, სპეკულიანტების უფრო დიდი იმედი აქვთ ადამიანებს, ვიდრე სახელმწიფოსი, შედარებით სერიოზული ავადმყოფისთვის საშველი არ არის, მხოლოდ პირველადი მოხმარების მედიკამენტები შეიძლება ეიმედებოდეს ამ ვითარებაში რიგით ადამიანს. დამოწმებულ ციტატაში ასევე მეორედ გაესმება ხაზი ადამიანთა კლასობრივი დაყოფის

მანკიერ მოცემულობას, ერთ წამალს ვიღაცას უნახავენ რომ დასჭირდეს, ისიც ან დასჭირდება ან არა, ხარაბამეს კი დაუყოვნებლივ სჭირდება, მაგრამ ხარაბამე დაბალი კლასის ადამიანია.

მხილებათა თამინდევრობას თითქოს აჯამებს მწერალი ზაზა ნაკაშიძის სიზმარულ გამინისტრებაში, ეს სიზმარია და სიზმარშიც მეტი მინიშნება შეიძლება, უკან დასახევი გზაც თავად ფორმაა, ეს მხოლოდ პერსონაჟის სიზმარია, ცენზურას შეუძლია სერიოზულად არ მიიღოს, ისევე როგორც ხუმრობა-ხუმრობით ფარდაახდილი რეალობა: „ვეებერთელა საწერ მაგიდას ვუზივარ და დილის ფოსტას ვათვალაიერებ. წერილების უმრავლესობა ანონიმურია, ხალხი ერთმანეთს აბეზღებს. ვინ სად, როდის და რამდენ ქრთამს იღებს...“

...ვინ რამდენად ყიდის სამუშაო ადგილს...

... ვის აქვს ყალბი დიპლომი, როგორ იღებენ ქრთამს: ქალაქში ჩაწერაში, მანქანების გაფორმებაში და უამრავ სხვა რამეში, თვითონ ჩემი თანამშრომლებიც კი” - ისევე, როგორც ყველა დანაშაულებრივი ამბავი, შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა მივიდეს, ზაზა ნაკაშიძის ხილვაშიც თავს ყველა ფლანგი მოიყრის და რა გამოდის, ყველა და ყველაფერი კორუფციასა და მექრთამეობაშია ჩაფლული? წესით, ამ ყველაფრისგან დამცავი, პრევენციის მთავარი მექანიზმის ჩათვლით, შესაბამისად სიტყვებით: „თვითონ ჩემი თანამშრომლებიც კი” - სწორედ პრობლემის დიდი სიღრმეა ნაჩვენები, რომელსაც გამოსწორების გზა ჯერ კიდევ არ უჩანს.

რომანში ძალიან მნიშვნელოვანი და მეტად ემოციური ადგილი უკავია ქართული ნაციონალურობისა და იდენტობის საკითხს, რაც მრავარჯერ არის აქცენტირებული სხვა და სხვა მონაკვეთებსა და სიუჟეტებში. მაგალითისათვის ეს ციტატაც კი გვეყოფოდა: „უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს ისეთი თავარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწავდა. კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს“ - ბუნებრივია ქართულისა და ქართველობის საკითხის ასეთ აღმატებულ ხარისხში მოხსენიება, პირდაპირ ეწინააღმდეგება საბჭოთა იდეოლოგიას, მაგრამ ცოტა კიდევ ჩავუღრმავდეთ საკითხს; მწერალს ნაციონალური განსაზღვრების საკითხი არა მხოლოდ ვიწრო გაგებით, გვაროვნულ-წარმომავლობითი ნიშნით აქვს გააზრებული, არამედ მას უფრო ღრმა ანალიზი აქვს გაკეთებული და, ფაქტობრივად, მისულია დასკვნამდე, რომ ეროვნული იდენტობა მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივ დონეზე, ხოლო შიდა ნაციონალური განსხვავებანი უმნიშვნელოა მაშინ, როდესაც სხვა წარმომავლობის ადამიანი, ამა თუ იმ მიზეზით, თავად გრძნობს ქართული კულტურისა და იდენტობის ნაწილად თავს: „არ დაჭამეს, ბიჭო, ერთმანეთი ქართველობისათვის ამ ებრაელმა, უკრაინელმა და სომეხმა? გაიგე ახლა, რომელია მართალი, - თქვა მეზურიშვილმა.“

- სამივე მართალია! - თქვა თავისთვის ბატონმა ისიდორემ. საკანი მოლოდინში გაიტრუნა.

ისიდორე დუმდა, მან ისიც საკმარისად მიიჩნია, რაც თქვა, მაგრამ შოშია მოკლა ცნობისმოყვარეობამ“ - ეს დიდი დისკურსი, დასაბუთებული და საინტერესო, ქართველობის განცდასა და სულისკვეთებაზე, ქართველის თვითმყოფადობაზე ასეთი დიდი აქცენტის გაკეთება მაშინ, როდესაც ქართველებისთვის ეროვნულ კუთვნილების ჩამოშორებას ცდილობს რეჟიმი, სწორედ ამ რეჟიმთან უდიდესი შეჭიდებაა, ჩვენი შეფასებით. აქვე, აღსანიშნავია მწერლის შორსმხედველობა, იგი გრძნობს, საბჭოთა სისტემისთვის ეროვნული უმცირესობების საკითხი საკბილო თემაა და მიდგომათა ამდაგვარი გადაფასებით, სურს სწორი დასკვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობა მისცეს მკითხველს.

ამავე კონტექსტში უნდა დავაკვირდეთ პასაჟს, რომელშიც გულოიანი მიმართავს ნაკაშიძეს: „მე რომ მაშაყირებ, ამ კაცს გაუფრთხილდით, მართლა არ დაგეკარგოთ“

დედაენა. – ისე სერიოზულად მითხრა ტიგრანამ, რომ ძალაუნებურად ისიდორესკენ კრძალვით გავიხედე“ – აბსოლუტურად ვართ დარწმუნებულნი, რომ ეს ფრაზა შემთხვევითი არ არის რომანისთვის; მწერალი აქაც შორსმჭვრეტელობას იჩენს, რამდენადაც გრძნობს იმ ქმედებათა გარკვეულ ერთობლიობას, რომელიც ქართული ენის წინააღმდეგ ხორციელდება, მისთვის, როგორც კარგად ინფორმირებული ადამიანისთვის, ადვილია დასკვნის გაკეთება, თუ საითკენ მიემართება პროცესები, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ეს ფრაზა ერთგვარი მოწოდება, შემზადება და გაფრთხილებაა იმ პროცესებთან დაკავშირებით, პიკურ ვითარებას რომ მიაღწევს რომანის შექმნიდან სულ რამდენიმე (დაახლოვებით ხუთ) წელიწადში – 1978 წლის 14 აპრილს. ამდენად, ვფიქრობთ, გასაკვირი სულაც არ არის, თუ გამორჩეული გონებრივი პოტენციალის მწერალს, ობიექტურ რეალობაზე დაყრდნობით გამძაფრებული აქვს წინათგრძნობა და გაფრთხილებას იძლევა პერსონაჟის განსაკუთრებული სერიოზულობით გამოთქმული სიტყვების საშუალებით.

მწერლის სარკასტულ კალამს ვერ გადაურჩა ლაბირინთივით ჩახლართული ბიუროკრატიაც. ბრალდებულ ნაკაშიძის ადვოკატს, უბრალო დახასიათება სჭირდება სტუდენტი ნაკაშიძისა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით არაბიუროკრატიული და მხოლოდ ფაქტებზე დამყარებული აღწერითი დოკუმენტი, აბსოლუტურად ხელმიუწვდომელია:

„– ჩემი ფაკულტეტის დეკანთან არ იყავი?

– ვიყავი, შვილო!

– რაო? – ადგილკომის თავმჯდომარესთან გამგზავნა.

– რატომ? – დახასიათებას ადგილკომები აძლევენო!

– მერე?

– ადგოლკომმა მითხრა, ვერ მოგცემ დახასიათებასო!

– რატომ?

– ცნობა მომიტანე, რომ მკვლეელი არ არისო, და მოგცემო.“ აი ამდაგვარი აბსურდულია საბჭოთა ბიუროკრატია და, რა თქმა უნდა, მწერალი ასეთი პირდაპირი არ იქნებოდა საკითხის წამოჭრისას, პრობლემა ნიშანდობლივი და დამახასიათებელი რომ არ იყოს.

სწორედ ამდაგვარი ჩახლართული ბიუროკრატია და საზოგადოებისაგან გამრიყავი დამოკიდებულება განაპირობებს უიმედობისა და ნიჰილიზმის განცდას, რაც საკმაოდ ატყვია რომანის პერსონაჟებს. ისიდორე არ არის მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, იგი ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა, იმ გამონათქვამებისა და მონოლოგების გათვალისწინებით, რომელსაც მწერალი ათქმევინებს, ამიტომ მისი განწყობა და სიტყვა ყოველთვის ღრმა შინაარსს იტევს; სასოწარკვეთილი პერსონაჟი ასე მიმართავს თანასაკნელებს: „მე მაქვს თხოვნა, ხუთი თვის წინ ვაშლოვანის ქუჩაზე # 151-ში მე დავტოვე კუბოზე დამხობილი ორი ადამიანი – ჩემი ქალიშვილი ნათელა და შვილიშვილი მეგი. ბიჭებო, დედას გაფიცებთ, გაფიცებთ ყველაფერს, რა საფიცარიც გაქვთ ამ ქვეყანაზე, თუ გედირსათ აქედან გასვლა, მიმიხედოთ იმ ორ ადამიანს!“ – ეს თხოვნა სწორედ უიმედობის კონსტატაციაა, ბატონ ისიდორეს სახელმწიფოსადმი არავითარი ნდობა და, შესაბამისად, არც იმედი აქვს, პირიქით, მას, თითქოს ეშინია კიდევ, რომ ტრაგედია გადატანილებს გარიყავს და დაწიხლავს სისტემა, ამიტომ, ამ უიმედო მდგომარეობაში მყოფი, სახელმწიფოზე მეტად, იმ თანასაკნელების იმედად უფროა, რომლებსაც საკუთარი თავი გასჭირვებიათ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხილებათაგანია ასევე, საროსკიპოების არსებობისა და მათთან ჩინოვნიკთა საეჭვო კავშირების თემა, რაც დიდი რუდუნებითა და განსაკუთრებული მონდომებით იჩქმალეზოდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ამ დროს კი, რომანში ასეთ პასაჟს ვკითხულობთ: „ერთი ოთახი აქვს აზიზას, სადაც მუშტარს ღებულობს.

– როგორ, კაცო, კერძო დუქანი აქვს, დუქანი კი არა, ბარდელი და არავინ იჭერს? – გამიკვირდა მე.

– ეჰ, ჩემო ზაზა, რამდენი წესით იმის დამჭერი რომ უნდა ყოფილიყო, ისეთი კაცი მე იქ მენახოს, იმდენი თუმანი რომ მოგვცა ახლა მე და შენ, იმ ფულით საკუთარ ციხეს ვიყიდდიო.”

და ბოლოს, მივადექით, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანსა და საინტერესოს! როგორც ვთქვით, ბატონი ისიდორეს სიტყვას განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, იგი, ნაკაშიძის დედის პერსონაჟთან ერთად, ერთგვარი მისიონერია რომანში, რომელიც გარკვეულ მორალურ და ზნეობრივ პრინციპებს ქადაგებს და ამკვიდრებს კიდეც, შესაბამისად, თავად რომანის სათაურიც უპირველეს ყოვლისა მათი სიტყვებიდან აღმოცენდება (ორივე ამახვილებს ყურადღებას თეთრი ბაირადის მეტაფორულ სიმბოლიკაზე): „უცებ ისიდორე ბატონმა თავი ასწია და სრულიად გამოცვლილი, ჟრუნტელის მომგვრელი, სუფთა, დაწყნარებული, მშვიდი ღვთაებრივი ხმით დაიწყო: – დასაბამიდან ყველა დროშა თეთრი იყო თეთრი, სპეტაკი. თეთრი ფერი უკეთილშობილესი ფერია დედამიწაზე, ხოლო თეთრი ბაირადი უკეთილშობილესი ფერის ბაირადი“. მიგვაჩნია, რომ თეთრი დროშის ამდაგვარი - ზე-აღმატებული მოხსენიება წითელი დროშის ეპოქაში, სწორედ რომ შეპირისპირებითი კონტექსტით უნდა აღვიქვათ და გავიაზროთ, ამდენად, უდავოა, რომ თეთრის სისპეტაკის ფონზე, წითელი - პირველ ყოვლისა, სისხლთან ასოცირდება ნებისმიერ შემთხვევაში. შესაბამისად, კომუნისტურ წითელ ეპოქას და წითელ ალაშს, ამ რომანმა თეთრი ბაირადი აუფრიალა და მწერალიც იმ ფორმით შეეწინააღმდეგა სისტემას, რა ფორმითაც მას ეს ყველაზე უკეთ ძალუძდა.

დასკვნა. ვფიქრობთ, ერთ რომანში თავმოყრილი ამდენი მამხილებელი მინიშნება, ყოველ ჯერზე სწორედ გამოსაფხიზლებელი ბაირადის აფრიალებაა, რაც რომანის სათაურშიც მკვეთრად სიმბოლიზირდება!

გამოყენებული ლიტერატურა:

დუმბაძე, ნ. (1973). *თეთრი ბაირადები*. თბილისი.

იმედაშვილი, კ. (1982). *მონოლოგი და დიალოგები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

Wikiwand. (n.d.). Retrieved from <https://www.wikiwand.com/ge>

REFERENCES:

dumbadze, n. (1973). *tetri bairaghebi [White Flags]*. Tbilisi.

imedashvili, k'. (1982). *monologi da dialogebi [Monologue and Dialogues]*. Tbilisi: Publishing House „Merani“.

Wikiwand. (n.d.). Retrieved from <https://www.wikiwand.com/ge>